*დანართი №2*

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ხ ა რ ი ს ხ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ც ე ნ ტ რ ი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

**წევრები:**

ნატო ალავიძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 400023595

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 23 ივლისის N634 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი "ფარმაცია (სააფთიაქო)" საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 1-2 აგვისტოსს.
ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი.
დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების შემოწმება; პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულის განმახორციელებლებთან შეხვედრა და გასაუბრება; შენობის დათვალიერება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა და დოკუმენტაციის შემოწმება ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის ჭრილში; ბიბლიოთეკის, რეესტრის (evet.emis.ge), საქმისწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება; პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, ინტერვიუირება და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შემოწმება.
ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | | | |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*ხარვეზი არ დაფიქსირებულა.*

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

**ქვესტანდარტი 1.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა)**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

მოდულები „ქართული ენა A2" და „ქართული ენა B1" ზოგადი ინფორმაციის ნაწილში ითვალისწინებს ჩანაწერს "პროფესიული განათლების საფეხურთან შესაბამისობა" და მიუთითებს შესაბამის საფეხურს (მესამე ან მეოთხე), როდესაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებით დამტკიცებული ქართული ენის მოდული მსგავს ჩანაწერს არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ მოდულების ზოგადი ინფორმაციის ნაწილი შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ცენტრის დირექტორის ბრძანებასთან;

სასურველია პროგრამის მოდულებს თავფურცელი ერთ სტილში ჰქოდეთ წარმოდგენილი, რადგან ზოგიერთი მოდულის თავფურცელი მოიცავს ინფორმაციას მოდულის სახელწოდების შესახებ და არაფერს ამბობს პროგრამის სახელწოდებაზე, ხოლო ნაწილი - პირიქით; გვაწვდის ინფორმაციას პროგრამის შესახებ, მაგრამ არაფერ ინფორმაციას იძლევა მოდულის სახელწოდების შესახებ.

**ქვესტანდარტი 1.4 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი დ)**

პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია პირადი განცხადება და იქვე აკონკრეტებს სტატუსის შეჩერების სხვადასხვა მიზეზებს. მათ შორის გაწერილია - "ხანგრძლივი ავადმყოფობა, ორსულობა, მშობიარობა, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა, სხვა ობიექტური მიზეზების არსებობა" და ა.შ.. ასევე სტატუსის შეჩერების დამატებით საფუძვლად და დებულების ცალკე პუნქტად გაწერილია კვლავ "პირადი განცხადება". შესაბამისად, სასურველია დებულებაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლად დარჩეს მხოლოდ ერთი - "პირადი განცხადება".

**ქვესტანდარტი 2.9 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ი)**

სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების პერიოდი, თუმცა გეგმები არ იძლევა გაზომვად, კონკრეტულ, მიღწევადი მიზნების შესაბამის ინდიკატორებსა და ინფორმაციის წყაროებს. აქედან გამომდინარე, სასურველია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა იძლეოდეს გაზომვად, კონკრეტულ, მიღწევადი მიზნების შესაბამის ინდიკატორებსა და ინფორმაციის წყაროებს, რომელიც კოლეჯს მისცემს შესაძლებლობას დაინახოს პროგრესი.

## VII. დაწესებულების მისია

საუკუნოვანი მემკვიდრეობის საგანმანათლებლო დაწესებულების, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას, მისიაა მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კომპეტენტური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და მაქსიმალურად უზრუნველყოს მათი დასაქმება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## სტანდარტების შეფასება

# 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას ადმინისტრაციული საბჭოს მიერ (ოქმი N3/4.03.2019) განხილული და დირექტორის ბრძანებით (N15/5.03.2019) დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურის წესი. აღნიშნული წესით ირკვევა, რომ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის რეკომენდაციით/ინიცირებითა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მონაწილეობით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე. თავდაპირველად პროგრამა იქმნება პროექტის სახით და განიხილება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

ადმინისტრაციულ საბჭოზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

დაწესებულებას ადმინისტრაციული საბჭოს მიერ განხილული (ოქმი N4/3.05.2019) და დირექტორის ბრძანებით (N32/8.05.2019) დამტკიცებული აქვს ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ფარმაცია (სააფთიაქო)" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე - (სარეგისტრაციო ნომერი - 09110-პ), მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში / Associate Degree in Pharmacy *(ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან)* ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში /Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy *(მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი)*. აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ,,ფარმაცია", კოდი 0916, აღმწერი - ,, შეისწავლის წამლებს და ადამიანზე მათ გავლენას. მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრირებას." ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, 26 პროფესიულ მოდულს - ჯამური 109 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევით მოდულს - 3 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 123 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა - 153 კრედიტი.

წარმოგიდგენთ პროგრამის და მოდულების გაანალიზებისას გამოკვეთილ მნიშვნელოვან საკითხებს:

- მოდულები „ქართული ენა A2” და „ქართული ენა B1” ზოგადი ინფორმაციის ნაწილში ითვალისწინებს ჩანაწერს "პროფესიული განათლების საფეხურთან შესაბამისობა" და მიუთითებს შესაბამის საფეხურს (მესამე ან მეოთხე), როდესაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებით დამტკიცებული ქართული ენის მოდული მსგავს ჩანაწერს არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ მოდულების ზოგადი ინფორმაციის ნაწილი შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ცენტრის დირექტორის ბრძანებასთან;

- სასურველია პროგრამის მოდულებს თავფურცელი ერთ სტილში ჰქოდეთ წარმოდგენილი, რადგან ზოგიერთი მოდულის თავფურცელი მოიცავს ინფორმაციას მოდულის სახელწოდების შესახებ და არაფერს ამბობს პროგრამის სახელწოდებაზე, ხოლო ნაწილი - პირიქით. გვაწვდის ინფორმაციას პროგრამის შესახებ, მაგრამ არაფერ ინფორმაციას იძლევა მოდულის სახელწოდების შესახებ.

დაწესებულებამ ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის შესაბამისად, ცვლილება შეიტანა შპს “პსპ ფარმა”-სთან 2018 წლის 3 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომლითაც შემსრულებელი (შპს “პსპ ფარმა”) იღებდა ვალდებულებას უზრუნველყო დამკვეთის პროფესიული სტუდენტებისთვის დამკვეთის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული/დარგობრივი მოდულის პრაქტიკული კომონენტის და მოთხოვნის შემთხვევაში თეორიული კომპონენტის განხორციელება. მიმდინარე წლის 3 ივნისს მხარეებს შორის შედგა წერილობითი შეთანხმება, რომლის თანახმად შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ერთჯერადად 150 პროფესიული სტუდენტისთვის გაწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მომსახურება. ხელშეკრულება მოქმედებს 2025 წლის 1 იანვრამდე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტი, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან გასაუბრება. პრაქტიკის ობიექტი მზაობას გამოთქვამს, ერთჯერადად მიიღოს 150-200 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურის წესით;
- ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამით;
- გაფორმებული ხელშეკრულებითა და შეთანხმებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) განთავსებული აქვს ვებგვერდზე www.panacea.edu.ge . დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია წლების მიხედვით კატალოგი. მათ შორის განთავსებულია 2018-2019 წლის სასწავლო წლის კატალოგი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

კატალოგში მოცემულია ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლებაც აქვს კოლეჯს. ასევე, ანონსის სახით წარმოდგენილია ინფორმაცია დასამატებელი პროგრამების შესახებ. ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე, კატალოგი ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის ჭრილში შეფასდა. შეფასებისას გამოიკვეთა, რომ კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების, კურსდამთავრებულების, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლისა და პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ. ასევე, გაწერილია ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციები, მიზნები, სწავლის შედეგები, კრედიტები და შეფასების წესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2018-2019 წლის სასწავლო წლის კატალოგით;
- ვებგვერდით www.panacea.edu.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით;
- ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება განხილულია ადმინისტრაციული საბჭოს მიერ (ოქმი N1/05.07.2011) და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N4/6.07.2011). ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2019 წლის 18 ივლისის N46 ბრძანებით. აღნიშნულ დებულებაში გაწერილია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.
აღნიშნული წესის გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია პირადი განცხადება და იქვე აკონკრეტებს სტატუსის შეჩერების სხვადასხვა მიზეზებს. მათ შორის გაწერილია - “ხანგრძლივი ავადმყოფობა, ორსულობა, მშობიარობა, სავალდებულო

სამხედრო სამსახურში გაწვევა, სხვა ობიექტური მიზეზების არსებობა". ასევე სტატუსის შეჩერების დამატებით საფუძვლად და დებულების ცალკე პუნქტად გაწერილია კვლავ "პირადი განცხადება". შესაბამისად, სასურველია დებულებაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლად დარჩეს მხოლოდ ერთი - პირადი განცხადება.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები, რომლებიც წარმოებულია დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად. ასევე, შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემა (evet.emis.ge) - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრი, რომელიც ხელმძღვანელობს რეესტრის წარმოების საერთო წესით. რეესტრში სრულყოფილადაა ასახული ინფორმაცია სტუდენტების შესახებ. ვიზიტის პერიოდში ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 13 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ფარგლებში სამ პროფესიულ სტუდენტს სტატუსი აქვს შეწყვეტილი. რეესტრის გადამოწმებით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტების შესახებ დროულად ხორციელდება სტატუსის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ასახვა, ასახული ბრძანებების სრულ სურათს იძლევა სტუდენტის ისტორიაც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურის წესით;
- პირადი საქმეებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების მე-11 მუხლით ირკვევა, რომ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. თუ ზემოაღნიშნული პირობების შესრულება ვერ ხორციელდება, დაწესებულება ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია "შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი"-სთან, ხოლო ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ მრავალმხრივი ხელშეკრულება საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

- პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით;
- გაფორმებული მემორანდუმით;
- საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრებთან ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ მრავალმხრივი ხელშეკრულებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
დაწესებულებას ადმინისტრაციული საბჭოს მიერ განხილული (N3/27.04.2016) და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს (N27/27.04.2016) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება. სამსახურის მიზნები და ამოცანებია კოლეჯში სწავლების ხარისხის ამაღლება/უზრუნველყოფა და ხარისხის უზრუნველსაყოფად და ასამაღლებად "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლის პრინციპით მუშაობა. პროგრამების დასახვეწად და ხარისხის გასაუმჯობესებლად პერიოდულად მუშავდება სტუდენტთა, მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ახალი კითხვარები და მიმდინარეობს შედეგების კვლევა/ანალიზი.
დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით (N52/29.10.2015) დამტკიცებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფიც. დირექტორის ბრძანებით (N88/14.12.2018) დამტკიცებულია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის გეგმა, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

და ინდიკატორები. განსახორციელებელ აქტივობებს განეკუთვნება მოდულის განმახორციელებელი პირების კონსულტირება, სასწავლო პროცესის მონიტორინგი (ყოველ მოდულზე მინიმუმ 2-ჯერ), სასწავლო მასალების რესურსის მონიტორინგი, შეფასების ინსტრუმენტების მონიტორინგი, გამოკითხვების წარმოება (ადმინისტრაცია, პროგრამის განმახორციელებელი პირები, პროფესიული სტუდენტები). პირველ ეტაპზე ანგარიშის წარდგენა ხდება შიდა მხარდაჭერის ჯგუფისთვის, ხოლო შემდეგ გარე მხარდაჭერის ჯგუფისთვის.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოდულური პროგრამის/მოდულის დანერგვის შიდა მონიტორინგის ჯგუფის დებულება (N52/29.10.2015). მონიტორინგის ჯგუფის ამოცანებია: განმახორციელებელი პირების მუშაობის ხარისხის მონიტორინგი; მონიტორინგის პროცესში კითხვარის შეგროვება და შეგროვებული მონაცემების ანალიზი; შეფასების ინსტრუმენტების ავთენტურობის, ვალიდურობის და საიმედოობის შემოწმება; განმახორციელებელი პირების კონსულტირება: რეკომენდაცია შეფასების პროცედურებთან/ინსტრუმენტებთან და მტკიცებულებებთან დაკავშირებით; პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების ანალიზი.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს სხვადასხვა კითხვარები, რომლებიც განხილულია ადმინისტრაციულ საბჭოს მიერ (ოქმი N1/21.12.18) და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N90/21.12.2018). შემუშავებულია შემდეგი კითხვარები:

- ადმინისტრაციის კითხვარი;
- პროფესიული მასწავლებლის/განმახორციელებელი პირის კითხვარი;
- სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი;
- დამსაქმებელთა კითხვარი.

მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად, დაწესებულებაში მიმდინარეობს მოდულებზე დასწრება, დაკვირების ფურცლის წარმოება, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშების წარმოება და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით;
- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის გეგმით;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის დებულებით;
- შემუშავებული კითხვარებით;
- შემუშავებული ანგარიშებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შპს სამედიცინო ინსტიტუტ პანაცეას იჯარის ხელშეკრულებით სარგებლობაში გადაცემული აქვს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის ქალაქ თბილისში, ერისთავის ქუჩა N2-ში (ნაკვ.01/026), მესამე სართულზე არსებული 515 კვ.მ ფართი. საიჯარო ხელშეკრულება მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრამდე. კოლეჯს ასევე საიჯარო ხელშეკრულება 2016 წლის 6 მაისს გაფორმებული აქვს სს "უნივერსალი"-თან, უნივერსალის კუთვნილი უძრავი ქონების გადაცემის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრული იყო 2021 წლის პირველი სექტემბერი, თუმცა იჯარის ხელშეკრულებაში მიმდინარე წლის 27 ივნისს შევიდა ცვლილება და ხელშეკრულების

მოქმედების ვადად განისაზღვრა 2025 წლის 31 დეკემბერი. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით ზუსტდება, რომ ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის N2-ში ნაგებობა N1-ში II სართულზე კოლეჯი ფლობს 445 კვ.მ ფართს და III სართულზე 420 კვ.მ-ს. აღნიშნული ფართები განთავსებულია ორ შენობაში.

დაწესებულების საერთო ფართის  ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა N2 (ნაკვ.01/026) | 515 კვ.მ |
| 2 | ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა N2 | 445 კვ.მ |
| 3 | ქალაქ თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა N2 | 420 კვ.მ |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საიჯარო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით;
- საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. კერძოდ:

- C - სასწავლო გარემო - ფართი 51.53 კვ.მ. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 24;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

- AC1 - სასწავლო გარემო - ფართი 38.98 კვ.მ პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 24;
- AC2 - სასწავლო გარემო - ფართი 41.98 კვ.მ პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 24;
- A - სასწავლო გარემო - პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 24;
- B - სასწავლო გარემო - ფართი 50 კვ.მ. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 25.

პროგრამის მატერიალური აღჭურვილობა, სასწავლო გარემოს მოდელები (A, B, C, AC1, AC2), პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის გაფორმებული შპს "პსპ ფარმა"-სთან ხელშეკრულება და პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი, უზრუნველყოფენ სწავლების პირველ წელს 72 და სწავლების მეორე წელს 72 პროფესიული სტუდენტის შეუფერხებლად სწავლებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო გარემოებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებითა და შეთანხმებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. შენობა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით; დაწესებულება გაზიფიცირებულია; შენობის მთელ სივრცეში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა.

ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამისთვის სასწავლო კაბინეტები უზრუნველყოფილია განათებით. შენობაში არის სველი წერტილები, სანიტარული კვანძები. სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენის საშუალებებით. სასწავლო კორპუსის სართულები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ანგარიშფაქტურებით;
- საგადახდო დავალებებით (გადარიცხვის ქვითრებით);
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას ადმინისტრაციულ საბჭოზე განხილილი (ოქმი N1/5.07.2011) და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. ვებგვერდით ასევე შესაძლებელია წვდომა პროგრამების ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებზე, რომლებიც განთავსებულია www.drive.google.com - ზე და შესაძლებელია მათი ჩამოტვირთვა. ვებგვერდზე ასევე ინტეგრირებულია ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგი (Openbiblio). მისი საშუალებით ხდება მთელი საბიბლიოთეკო პროცესის ავტომატიზაცია: ლიტერატურის ნებისმიერი სახეობის (წიგნები, დისკები, პერიოდული გამოცემები თუ სხვა) ბიბლიოგრაფიული დამუშავება – ელექტრონულ კატალოგში შეტანა, მკითხველთა აღრიცხვა, მკითხველებზე ლიტერატურის გაცემის აღრიცხვა და სხვა.

ბიბლიოთეკაში იწარმოება წიგნობრივი ფონდის საინვენტარო ჟურნალი. მომხმარებელზე იქმნება მკითხველის ბარათი. ბიბლიოთეკაში გაწევრიანებისთვის სავალდებულოა გაწევრიანების მსურველმა პირმა (პროფესიული სტუდენტი, პროფესიული მასწავლებელი და ადმინისტრაციული პერსონალი) წარადგინოს პირადობის მოწმობა.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ბიბლიოთეკარისთვის - 1 და პროფესიული სტუდენტებისთვის - 2 კომპიუტერი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება.

ფარმაციის (საafთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამიდან შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები. ექსპერტთა მიერ შერჩევითობის პრინციპით შერჩეული წიგნები ყველა აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის დებულებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით;
- საინვენტარი ჟურნალებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულება იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს მუდმივი ინტერნეტი, შიდა ქსელი და უკაბელო შიდა ქსელი (WiFi). ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია სათანადო ტექნიკით (კომპიუტერებით, პრინტერებით). კოლეჯს აქვს ვებ-გვერდი www.panacea.edu.ge . საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ისინი გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. აუდიტორიები დანიშნულებისამებრ აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და სადემონსტრაციო საშუალებებით. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. კერძოდ, ფუნქციონირებს ორი კომპიუტერული კაბინეტი.

დაწესებულება ფლობს 65 კომპიუტერსა და 7 კომბაინს (პრინტერი/სკანერი/ასლგადამღები). 65 კომპიუტერიდან 9 გამოიყენება ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულებებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

- ანგარიშფაქტურებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.
**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დებულება საქმისწარმოების შესახებ განხილულია ადმინისტრაციული საბჭოს მიერ (N1/5.07.2011) და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (N3/5.07.2011). დებულებით ირკვევა, რომ საქმისწარმოებას ხელმძღვანელობს და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესების დაცვა-შესრულებაზე პასუხისმგებელია დაწესებულების კანცელარია, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია დაწესებულების დირექტორის წინაშე.

დაწესებულებაში საქმისწაროება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე:

- შემოსული დოკუმენტაცია;
- გასული დოკუმენტაცია;
- შიდა დოკუმენტაცია - მმართველობითი ხასიათის დოკუმენტაცია;
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

დაწესებულების მიერ წარმოებული ყველა ჟურნალი ზონარგაყრილი, დანომრილი და ბეჭედდასმულია უფლებამოსილი პირის მიერ. კოლეჯში ასევე, მიმდინარეობს ხელშეკრულებების, კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომების აღრიცხვა-ანგარიშგება/გაცემის ჟურნალის წარმოება, რომლებიც ასევე ზონარგაყრილი, დანომრილი და ბეჭედდასმულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემას (evet.emis.ge) - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრს, რომელიც ხელმძღვანელობს რეესტრის წარმოების საერთო წესით. რეესტრში სრულყოფილადაა ასახული ინფორმაცია სტუდენტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების შესახებ. რეესტრის მონაცემებით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 342 პროფესიული სტუდენტი, ხოლო კოლეჯს ჰყავს 116 აქტიური სტატუსის მქონე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. რეესტრის გადამოწმებით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტების შესახებ დროულად ხორციელდება სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დებულებით საქმისწარმოების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯში დაცულია სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. შენობის თითოეულ სართულზე წარმოდგენილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ცეცხლმაქრებს მიმდინარე წლის ივლისის თვეში დამუხტვის ვადა ჰქონდა გასული. დაწესებულებამ ვიზიტის პირველივე დღეს წარმოადგინა შპს “ელი+”-სთან გაფორმებული წინასწარი ანგარიშფაქტურა ათცალ 5კგ-იანი ფხვნილოვანი ცეცხლმაქრის დამუხტვის შესახებ. ზემოაღნიშნული ანგარიშფაქტურით პირველ აგვისტოსვე განხორციელებულია გადარიცხვაც.

თითოეულ სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც შეთანხმებული და შემუშავებულია უფლებამოსილი უწყების, შსს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 მაისის N33 ბრძანებით, საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო სამსახურის თავდაცვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით შექმნილია საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული შტაბიც.

კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 14 სექტემბერს N45 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესი. კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორის მიერ დანიშნული თანამშრომელი - ექიმი/ექთანი . ექთანი უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი ზომების გატარებას, ახორციელებს მედიკამენტების ვარგისიანობის (ვადა, შენახვისათვის დადგენილი წესების დაცვა და ა.შ.) კონტროლს და აწარმოებს აღრიცხვიანობის ჟურნალს მის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და გამოყენებული მედიკამენტების შესახებ. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულ პირთათვის თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია კოლეჯის ექიმის/ექთნის საკონტაქტო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

მობილური/ტელეფონის ნომერი. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება - ექიმის/ექთნის კომპეტენციის ფარგლებს, მის მიერ გამოძახებულია სასწრაფო დახმარება. წესრიგის დაცვისა და უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია დაწესებულების შინაგანაწესითა და დარაჯის ფუნქციებით. ასევე, წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ სპეციალურად გამოყოფილი პირები/მორიგეები. დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემით კოლეჯის დაცვას უზრუნველყოფს სსიპ “დაცვის პოლიციის დეპარტამენტი”.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის წესით;
- შინაგანაწესით;
- გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ანგარიშფაქტურით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია პანდუსით. შენობაში მოწყობილია ადაპტირებული სანიტარული კვანძები. სსსმ პროფესიულ სტუდენტებს ასევე

აქვთ წვდომა სასწავლო აუდიტორიებთან, ბიბლიოთეკასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. დაცვის თანამშრომელს ევალება შშმ პირის მომსახურება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების მფლობელობაშია დომენი panacea.edu.ge. www.registracion.ge-ზე დომენის გადამოწმებით ირკვევა, რომ დომენის მოქმედების ვადა 2019 წლის 25 ნოემბრამდეა.

შესაბამისად, კოლეჯს აქვს ვებგვერდი www.panacea.edu.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და სტანდარტებთან დაკავშირებული ინფორმაცია (დაწესებულების მისია, ხედვა, სტრუქტურა, პერსონალი, ნორმატიული აქტები, სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმის ანგარიშები, საგანმანათლებლო პროგრამები, კატალოგი). ვებგვერდზე ასევე ვხვდებით ინფორმაციას კოლეჯის სასწავლო ბაზებზე. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. ბოლო სიახლე განთავსებულია მიმდინარე წლის 10 ივლისს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით;
- ხელშეკრულებებით;
- [www.registration.ge](http://www.registration.ge) - თ.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯს ადმინისტრაციულ საბჭოზე განხილული (ოქმი N3/27.04.2016) და დირექტორის ბრძანებით (N27/27.06.2016) დამტკიცებული აქვს 2016-2022 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ორიენტირებულია მის განხორციელებაზე და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

სტრატეგიული განვითარების გეგმა სტრატეგიულ მიზნებად წარმოგვიდგენს სამ სტრატეგიულ მიზანს, რომლებიც ჩაშლილია განსახორციელებელ აქტივობებად. თითოეულ განსახორციელებელ აქტივობას გაწერილი აქვს განხორციელების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები. სასურველია განსახორციელებელ აქტივობებთან ერთად გაიწეროს გაზომვადი შესრულების ინდიკატორები.

2019 წლის ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია დირექტორის მიერ, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების პერიოდი. შესაბამისად, სამოქმედო გეგმა არ იძლევა გაზომვად, კონკრეტულ, მიღწევადი მიზნების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

შესაბამის ინდიკატორებსა და ინფორმაციის წყაროებს. აქედან გამომდინარე, სასურველია სამოქმედო გეგმა იძლეოდეს გაზომვად, კონკრეტულ, მიღწევადი მიზნების შესაბამის ინდიკატორებსა და ინფორმაციის წყაროებს, რომელიც კოლეჯს მისცემს შესაძლებლობას დაინახოს პროგრესი.

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ბოლო სამი წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშები, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას გატარებული ღონისძიებების, შემსრულებლის, შესრულების პერიოდისა და შესრულების მტკიცებულებების შესახებ. 2018-2019 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში განხილულია ადმინისტრაციულ საბჭოს მიერ (ოქმი N8/4.07.2019) და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N44/4.07.2019).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2016-2022 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმით;
- 2019 წლის ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმით;
- შემუშავებული ანგარიშებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 3. ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას ადმინისტრაციული საბჭოს მიერ განხილული (ოქმი N2/2.09.2013) და დირექტორის ბრძანებით (N46/3.09.2013, ბოლო ცვლილება N34/17.08.2015) დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი და

დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა კოლეჯსა და პერსონალს შორის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. პერსონალის სამუშაოზე მიღება ხორციელდება შრომითი, მომსახურების ხელშეკრულების ან/და შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

სამუშაოზე მიღებისას კოლეჯი უფლებამოსილია მოსთხოვოს პირს შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - CV;

გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) შესაბამისი კვალიფიკაციის, შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები;

ვ) კოლეჯი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს დასაქმებულს:

- ცნობა (ძველი) სამუშაო ადგილიდან;
- ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;
- ცნობა სამედიცინო - ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
- ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
- და სხვა საბუთები რაც დაკავშირებულია სამსახურებრივ საქმიანობასთან (ცნობები, მოწმობები, სერთიფიკატები და სხვა.);

დაწესებულებაში პერსონალის რაოდენობა შეადგენს 22-ს. ვიზიტის პერიოდში შემოწმდა ბიბლიოთეკარის, ექთნის, დაცვის თანამშრომელთა პირადი საქმეები. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

- პირადი საქმეებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროგრამის განმახორციელებელი პირის, პროფესიული მასწავლებლის შერჩევის წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (N15/5.03.2019), რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიული მასწავლებელი უნდა იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მფლობელი პირი. ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით, პროგრამის განხორციელების მდგრადობიდან გამომდინარე, პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა 14-დან 23-მდე გაიზარდა. პირადი საქმეების გადამოწმებით გამოირკვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ.
საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განმახორციელებელ პირთა თანაფარდობა იქნება 144/23-ზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის განმახორციელებელი პირის, პროფესიული მასწავლებლის შერჩევის წესით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

- პირადი საქმეებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროგრამის განმახორციელებელი პირის, პროფესიული მასწავლებლის შერჩევის წესით ირკვევა (დირექტორის ბრძანება N15/5.03.2019), რომ პროფესიული მასწავლებელი უნდა იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მფლობელი პირი. კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ავტობიოგრაფია - CV;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- შესაბამისი კვალიფიკაციის, შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობები, მოწმობები, სერტიფიკატები და სხვა);

დაწესებულება უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს დამატებით სხვა დოკუმენტები, რაც დაკავშირებულია სამსახურებრივ საქმიანობის განხორციელებასთან.

ვაკანსიის შემთხვევაში კოლეჯის ვებგვერდზე ქვეყნდება ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ვაკანსიის დასახელების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, წარსადგენი დოკუმენტაციის და პირობების შესახებ. თუ ვერ მოხერხდა კანდიდატურის შერჩევა, დირექტორის

ბრძანებით შესაძლებელია კანდიდატთა შორის გამოცხადდეს კონკურსი. შერჩეულ პირებთან ფორმდება ხელშეკრულება.

პროგრამის განმახორციელებელ პირთა შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია მომსახურების საგანი, განსახორციელებელ მოდულთა ჩამონათვალი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის განმახორციელებელი პირის, პროფესიული მასწავლებლის შერჩევის წესით;
- პირადი საქმეებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფარმაცია (სააფთიაქო) | მეხუთე საფეხური /დონე | ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში Associate Degree in Pharmacy (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) | 123 | 153 | ქართული | ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქუჩა N2 | 13 (ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქუჩა N2) | 144 (ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქუჩა N2) |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 0916<br>ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი)<br>090352 | | | | | | |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. ინვენტარის შესახებ წინასწარი ანგარიშფაქტურით.

22.08.2019

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*